განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

19/11/2024

MES 1 24 0001493526

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ ლანჩხუთის
საგანმანათლებლო რესურსცენტრს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს N1421665 05/11/2024წ. წერილთან დაკავშირებით (ეკონომიკურ დეპარტამენტში შემოსულია N1449397 11.11.2024წ) გაცნობებთ, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების შესაბამისად და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1601881 24/11/2023წ. ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" გათვალისწინებით, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (**არაუმეტეს ორი წლის ვადით**) გაიცეს, სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში მდებარე (ს/კ 27.06.56.099) 45 კვ.მ. ფართი - სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) ფუნქციონირების მიზნით - იმ პირობით, თუ არ მოხდება სკოლის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების დაზიანება და დაცული იქნება მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე, თუ მოიჯარეს წარმოდგენილი ექნება დოკუმენტაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში შესაბამისი მომსახურების რეგისტრაციის შესახებ და სკოლა აიღებს პასუხისმგებლობას, რომ რეგისტრირებული საქმიანობის გარდა სხვა ტიპის მომსახურება არ იქნება მიწოდებული (აღნიშნული განსაკუთრებით ეხება - საკვების დამზადებას შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე).

ამასთან, გთხოვთ, აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის ერთ-ერთ პირობად გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები, კერძოდ: ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ვადაზე ადრე თუ იგი გამოწვეულია სახელმწიფო პოლიტიკით, კანონმდებლობის ცვლილებით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოთხოვნით, სკოლაში სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს - „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება და მასში შესული ნებისმიერი ცვლილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. უძრავი და მოძრავი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ქონების შეფასების უფლების მქონე პირის/ორგანიზაციის დასკვნა, რაც დასტურდება აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანიზაციის სერტიფიკატით.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ